

ინკლუზიური განათლების მიმართ დამოკიდებულებისა და
თვითეფექტურობის კავშირი მასწავლებლებში

ნინო ნიქაბაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაცაშვილი, პროფესორი, ფსიქოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ნიქაბაძე

16 ივნისი, 2018 წ.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მასწავლებლების ინკლუზიისადმი დამოკიდებულებასა და თვითეფექტურობას შორის კავშირის კვლევა. ნაშრომში ხაზგასმულია მასწავლებლის როლის მნიშვნელობა ინკლუზიური განათლების მოდელის განხორციელებაში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის საჯარო სკოლების 80-მა მასწავლებელმა. მასწავლებელთა ინკლუზიის მიმართ დამოკიდებულების შესასწავლად გამოყენებულ იქნა მასწავლებლის ინკლუზიისადმი დამოკიდებულების სკალა, ხოლო თვითეფექტურობის სამი ტიპის საკვლევად – ზოგადი თვითეფექტურობის, მასწავლებლის თვითეფექტურობის და ინკლუზიური პრაქტიკის თვითეფექტურობის სკალები, შესაბამისად. კვლევის შედეგების თანახმად, მასწავლებლების თვითეფექტურობა და ინკლუზიური პრაქტიკის თვითეფექტურობა დადებით კავშირშია მასწავლებლების ინკლუზიისადმი დამოკიდებულებასთან. მიღებული შედეგების მიხედვით, ინკლუზიური განათლებისადმი დამოკიდებულებას არ განსაზღვრავს ასაკი. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, დაისახა სამომავლო გეგმები და განისაზღვრა რეკომენდაციები.

ძირითადი საძიებო სიტყვები : თვითეფექტურობა, მასწავლებლის თვითეფექტურობა, ზოგადი თვითეფექტურობა, ინკლუზიური განათლება, დამოკიდებულება.

Abstract

This paper aims to establish a link between teachers' attitudes towards inclusion and self-efficacy. The thesis highlights the significance of teacher's role in implementation of the inclusive model of education. Eighty teachers of public schools of Tbilisi have participated in this research. In order to study teachers' attitudes towards inclusive education, the TATIS scale was administered. On the other hand, to understand the self-efficacy, three types were outlined: general self-efficacy, teacher self-efficacy, teacher efficacy of inclusion practices. In accordance of the results of the study, there is a statistically significant positive relationship between teacher self-efficacy and attitudes towards inclusion; and teacher efficacy of inclusive practices and attitudes towards inclusion. The study revealed that age is not important determinant of attitudes towards inclusion. Based on the results of the research, the future plans were defined and recommendations were identified.

Key Words : self-efficacy, teacher self-efficacy, general efficacy, inclusive education, attitude.